განმარტებითი ბარათი

„ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ე.წ. სპაისების მოხმარება. სპაისები არის მცენარეული სუბსტანციები, გაჟღენთილი სინთეზური კანაბინოიდებით, სინთეზური კანაბინოიდები შეადგენენ განსხვავებულ სტრუქტურების მქონე ქიმიურ ნივთიერებათა ჯგუფს: JWH-018, JWH-081, JWH-122, JWH-398, JWH-073, JWH-200, HU-200, CP-47,497. სინთეზური კანაბინოიდები ფუნქციურად ტეტრაკანაბინოიდის ანალოგები არიან და იწვევენ კანაბიონიდების მსგავს ფსიქო-ფიზიოლოგიურ რეაქციებს ადამიანში. ამავდროულად სინთეზური კანაბინოიდები 5ჯერ უფრო ძლიერია.
ზემოაღნიშნული ქიმიური ნივთიერებები შესულია ბრუნვისთვის მკაცრად შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებათა სიაში, ანუ მათი ბრუნვა საქართველოში აკრძალულია, თუმცა ეს ნივთიერებები არაა შესული ამავე კანონის #2 დანართში, რომელიც განსაზღვრავს უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდ და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხაში, შესაბამისად დღეს მართალია აკრძალულია სინთეზური კანაბიონიდების ბრუნვა მაგრამ ვინაიდან არაა განსაზღვრული მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები აქსედან გამომდინარე არ ხდება უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა მიმართ ,სისხლისსამართლებრივი დევნა.

ა.ბ) კანონპროეტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია შესაბამისობაში მოვიდეს „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის #2 დანართი, ამავე კანონის #1 დანართთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით ცვლილება შედის „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის #2 დანართში და უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდ და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხას ემატება JWH-018, JWH-081, JWH-122, JWH-398, JWH-073, JWH-200, HU-200, CP-47,497 და განისაზღვრება მათი მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანოპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

არ გამოიწვევს;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად, არ ადგენს მისი განსაზღვრის პრინციპს;

გ) კანონპროექტის მიმართება სართაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდფებულებებს;

დ) კანონმდებლობის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კონსულტაციები გავლილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსტან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

არ არის;

ე) კანონპროექტის ავტორი

პარლამენტის წევრი - თამაზ ავდალიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრი - თამაზ ავდალიანი